ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N43

2023 წლის 28 დეკემბერი

ქ. ხობი

ხობის მუნიციპალიტეტში განათლების ხელშეწყობის 2024 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს თანდართული ხობის მუნიციპალიტეტში განათლების ხელშეწყობის 2024 წლის მუნიციპალური პროგრამა.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს 2024 წლის 1 იანვრიდან.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. №3).

საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე

ხობის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატი
ასლი დედანთან სწორია
პასუხისმგებელი პირი
სადგომელა
11. 01 24

ხობის მუნიციპალიტეტში განათლების ხელშეწყობის 2024 წლის მუნიციპალური პროგრამა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ეს წესი არეგულირებს ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით განსაზღვრული, განათლების ხელშეწყობის წესს:

ა) ხობის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო და კერძო სკოლების საშუალო საფეხურის წარმატებულ მოსწავლეთა და წარმატებულ სტუდენტთა ფინანსური ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერისთვის გამოყოფილი თანხების გაცემის მიზნებისთვის;

ბ) ხობის მუნიციპალიტეტში განათლების სფეროში მოღვაწე პირების მატერიალური წახალისების (ჯილდოს) გაცემის მიზნებისთვის.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ჯილდო - ერთჯერადი ფულადი ჯილდო;

ბ) წარმატებული მოსწავლე/ახალგაზრდა - ხობის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების ოქროს და ვერცხლის მედალოსანი მოსწავლეები;

გ) წარმატებული სტუდენტი - სტუდენტი, რომელმაც 2024 წელს საუკეთესო შედეგებით ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები, მოიპოვა 100 %-იანი სახელმწიფო გრანტი, ჩაირიცხა ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და რეგისტრირებულია ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ან/და რეგისტრირებული იყო ხობის მუნიციპალიტეტში მოქმედ საჯარო ან კერძო სკოლაში;

დ) განათლების სფეროში მოღვაწე პირი - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროს წარმატებული, დამსახურებული ან/და ღვაწლმოსილი მუშაკი; საჯარო ან კერძო სკოლის წარმატებული, დამსახურებული ან/და ღვაწლმოსილი მასწავლებელი.

მუხლი 3. პროგრამის ბიუჯეტი და დაფინანსების წყარო, მოქმედების ვადა, მისი დაწყებისა და დასრულების დრო

1. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 28000 (ოცდარვაათასი) ლარს და ფინანსდება ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

2. პროგრამა მოქმედებს 2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 4. ჯილდოს ოდენობა

ჯილდოს ოდენობა განისაზღვრება შემდეგი სახით:

ა) ოქროს მედალოსანი მოსწავლე - 300 ლარი;

ბ) ვერცხლის მედალოსანი მოსწავლე - 200 ლარი;

გ) წარმატებული სტუდენტი - 1000 ლარი;

დ) განათლების სფეროში მოღვაწე პირი - 500 ლარი.

მუხლი 5. დაფინანსების მისაღებად განცხადებისა და საჭირო დოკუმენტაციის წარდგენა

1. ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო და კერძო სკოლების საშუალო საფეხურის წარმატებულ მოსწავლეთა - ოქროსა და ვერცხლის მედალოსანთა ჯილდოს მისაღებად წარმატებულმა მოსწავლემ/ახალგაზრდამ/საგანმანათლებლო დაწესებულებამ ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარადგინოს:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) ჯილდოს მიმღების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ოქროს ან ვერცხლის მედლით დაჯილდოების დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) ჯილდოს მიმღების საბანკო რეკვიზიტები.

2. წარმატებული სტუდენტის ჯილდოს მისაღებად სტუდენტმა ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარადგინოს:

ა) განცხადება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ცნობა სახელმწიფო გრანტის შესახებ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრიდან;

დ) მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის დამადასტურებელი ან/და ხობის მუნიციპალიტეტში მოქმედ საჯარო ან კერძო სკოლაში სწავლის ან/და დამთავრების შესახებ ცნობა;

ე) განმცხადებლის საბანკო რეკვიზიტები.

3. განათლების სფეროში მოღვაწე პირის ჯილდოს მისაღებად კანდიდატმა ან/და შესაბამისმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარადგინოს:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) ჯილდოს მიმღების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ჯილდოს მიმღების განათლების სფეროში სხვადასხვა მიღწევების დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) ჯილდოს მიმღების საბანკო რეკვიზიტები.

მუხლი 6. განცხადების წარდგენის და განხილვის ვადები

1. განცხადების წარდგენის ვადები განისაზღვრება:

ა) წარმატებული მოსწავლისთვის/ახალგაზრდისთვის - სასწავლო წლის დამთავრებიდან არაუგვიანეს ორი თვისა;

ბ) წარმატებული სტუდენტისთვის - 2024 წლის წლის 1 დეკემბრამდე;

გ) განათლებისა და სხვა სფეროში მოღვაწე პირისთვის - 2024 წლის 1 დეკემბრამდე;

2. ხობის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური წარმოდგენილ დოკუმენტაციას განიხილავს 10 სამუშაო დღის ვადაში და ამზადებს შესაბამის დასკვნას.

მუხლი 7. ჯილდოს გაცემის წესი

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური საბოლოო დასკვნას წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას ჯილდოს გაცემის შესახებ.

2. ამ წესით განსაზღვრული ფულადი ჯილდო გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორების წესით, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 8. პროგრამის ხარჯთაღრიცხვა

№	ღონისძიებების დასახელება	ბიუჯეტი
1.	ხობის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო და კერძო სკოლების საშუალო საფეხურის წარმატებულ მოსწავლეთა - ოქროს და ვერცხლის მედალოსანთა დაჯილდოება	20 000
2.	წარმატებულ სტუდენტთა წახალისება (ჯილდო)	5 000
3.	განათლების მოღვაწე პირის წახალისება (ჯილდო)	3 000
	ჯამი	**28 000**